დევიდ ლინჩის ვიზიტი საქართველოში

15.11.2017

18 ნოემბერს, ოთხდღიანი
ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეწვევა დევიდ ლინჩი – ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი, პროდიუსერი, დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, მრავალი კინოფესტივალის გამარჯვებული, ისეთი ნამუშევრების ავტორი, როგორიცაა: „ტვინ პიქსი“, „მალჰოლანდ დრაივი“, „ლურჯი ხავერდი“... საქართველოს ასევე ეწვევა დევიდ ლინჩის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ბობ როთი.

დევიდ ლინჩის ფონდი (davidlynchfoundation.org) 2005 წელს აშშ-ში თავად დევიდ ლინჩის მიერ დაარსდა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში მუშაობს.

საქართველოში ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდის პრეზიდენტია რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე.

საქართველოში პირველი ვიზიტის დროს სახელგანთქმულ ამერიკელ რეჟისორს და მის გუნდს შესაძლებლობა ექნებათ, გაეცნონ ქვეყნის კულტურას, ისტორიას და ტრადიციებს; საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის პირველ პირებთან განიხილონ თანამშრომლობის შესაძლებლობა კულტურის, განათლების და მეცნიერების დარგში. შეხვდნენ ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. აგრეთვე იგეგმება დევიდ ლინჩის ფილმის ჩვენება და შეხვედრა მაყურებელთან, საჯარო ლექცია ტრანსცენდენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ.

DAVID LYNCH'S VISIT IN GEORGIA

The famous American film director, scriptwriter, musician, producer, one of the most famous representatives of the independent Film, winner of several film festivals, author of such works as "Twin Peaks", "Mulholland Drive", "Blue Velvet" etc. – David Lynch will visit Georgia on the 18th of November in frames of a four-day visit. the CEO of David Lynch Foundation Bob Roth will also visit Georgia.

David Lynch Foundation (davidlynchfoundation.org) was founded by David Lynch himself in USA in 2005. The main branches are in USA, Great Britain, France and Ukraine.

The visit in Georgia is related to the activities of David Lynch Foundation Caucasus Office which was founded in Tbilisi on the 25th of July of 2017 and unites Georgia, Armenia and Azerbaijan. The president of the foundation is a film director and a musician Giga Agladze.

During their first visit in Georgia the famous American film director and his delegation will have a possibility to get acquainted to the culture, history and traditions of the country as well as discuss the possible cooperaion with the key persons of the Parliament and Government of the country in the spheres of culture, education and science. They will meet with the representatives of different social spheres. David Lynch's film screening and meeting with the public will also be held, as well as a public lecture on Transcendental Meditation and social role for the society.